



სსიპ გოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2018 წლის საუკეთესო  
ახალგაზრდა მეცნიერთა და მეცნიერთა ჯგუფისათვის ჯილდოს კატეგორიებში გამარჯვებული  
კანდიდატების დამტკიცების შესახებ

ბრძანება № 138

ქ. თბილისი

9 თბილისი 2018

სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის 2018 წლის საუკეთესო  
ახალგაზრდა მეცნიერთა და მეცნიერთა ჯგუფისათვის ჯილდოს კატეგორიებში გამარჯვებული  
კანდიდატების დამტკიცების შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული  
სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების „შესახებ“ საქართველოს განათლებისა  
და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივნისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5  
მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის და „სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული  
სამეცნიერო ფონდის ჯილდოს დაწესებისა და 2018 წლის საუკეთესო ახალგაზრდა მეცნიერთა და  
მეცნიერთა ჯგუფისათვის კონკურსის გამართვის წესის დამტკიცების „შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის  
საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2018 წლის 26 ივნისის N88  
ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის გამართვის წესის“ მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის  
საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო  
და სასწავლო ღონისძიებების უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის სამსახურებრივი ბარათის  
(N1287273, 08.10.2018) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის  
(შემდგომში ფონდი) 2018 წლის საუკეთესო ახალგაზრდა მეცნიერთა და მეცნიერთა  
ჯგუფისათვის ჯილდოს კატეგორიებში გამარჯვებული კანდიდატები:

ა) ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით მოღვაწე წლის საუკეთესო  
ახალგაზრდა მეცნიერი - aapt/3/3/18;

ბ) სიცოცხლის შემსწავლელ, ჯანდაცვის, აგრარული მეცნიერების მიმართულებით მოღვაწე წლის საუკეთესო  
მეცნიერთა ჯგუფი - aapt/2/6/18;

გ) ტექნოლოგიებსა და საინჟინრო მეცნიერებების მიმართულებით მოღვაწე წლის საუკეთესო  
ახალგაზრდა მეცნიერი - aapt/1/7/18;

დ) სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებით მოღვაწე წლის საუკეთესო  
ახალგაზრდა მეცნიერი - aapt/3/9/18.

2. „სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ჯილდოს დაწესებისა და 2018 წლის საუკეთესო ახალგაზრდა მეცნიერთა და მეცნიერთა ჯგუფისთვის კონკურსის ფარგლებში შემოსული საკონკურსო განაცხადების შეფასების მიზნით შემფასებელი კომისიის შექმნისა და მისი საქმიანობის წესის განსაზღვრის შესახებ“ ფონდის გენერალური დირექტორის 2018 წლის 1 აგვისტოს N117 ბრძანებით შექმნილი კომისიის რეკომენდაციით ფონდი გასცემს წამახალისებელი სიგელებს:
- ა) საქართველოს შემსწავლელი მეცნიერების მიმართულებით მოღვაწე წლის საუკეთესო ახალგაზრდა მეცნიერი - aarp/1/2/18;
- ბ) ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით მოღვაწე 2018 წლის საუკეთესო ახალგაზრდა მეცნიერი - aarp/6/3/18;
- გ) ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით მოღვაწე 2018 წლის საუკეთესო მეცნიერთა ჯგუფი - aarp/2/4/18;
- დ) სიცოცხლის შემსწავლელ, ჯანდაცვის, აგრარული მეცნიერებების მიმართულებით მოღვაწე 2018 წლის საუკეთესო მეცნიერთა ჯგუფი - aarp/1/6/18.
3. დაევალოს ფონდის საფინანსო-ეკონომიკური და მატერიალური უზრუნველყოფის დეპარტამენტს ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული გამარჯვებული კანდიდატებისთვის დაწესებული ფულადი ჯილდოების გადაცემა.
4. დაევალოს ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს წინმდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.
5. დაევალოს ფონდის იურიდიული და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის მთავარ სპეციალისტს, მანანა დათუაშვილს წინამდებარე ბრძანების გაცნობა ფონდის საფინანსო-ეკონომიკური და მატერიალური უზრუნველყოფის დეპარტამენტისთვის და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურისათვის.
6. ბრძანება ძალაშია მხარეებისთვის გაცნობისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6).

ზვიად გაბისონია